პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

12 ივლისი, სამშაბათი, 1988 წ.
№ 134 (9801) ◉ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშები

1988 II ВСЕСОЮЗНЫЕ ЛЕТНИЕ ЮНОШЕСКИЕ СПОРТИВНЫЕ ИГРЫ

## საქართველოს სპორტსმენთა მონაპოვარი:

**კალათბურთი** (ბიჭები)

◉ ვერცხლის მედალი — საქართველოს ნაკრები (სახალხო განათლების სამინისტროს გუნდი).

**მაგიდის ჩოგბურთი**

◉ ბრინჯაოს მედალი — პაატა ფირცხალავა (სოხუმი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება).

## თამაშების დღიური

**ბატუტზე ხტომა** (ვორონეჟი). ეს ასპარეზობა 10 ივლისს დაიწყო. ინდივიდუალური პროგრამით გოგონებში ლიდერობს თბილისელი რუსუდან ხოფერია, მეორე ადგილზე მიდის ანა დოლონაძე, მესამეზე — ლიანა ბენდიანიშვილი. ჩვენი ბიჭებიდან ლიდერთა ჯგუფშია მიხეილ პელივანიდისი (ჯერჯერობით მას მეორე შედეგი აქვს), შესაბამისად IV და V ადგილზე მიდიან ზაზა აბრამიშვილი და არამ სააკიანი.

**სასტენდო სროლა** (ქ. შახტი). გუნდებმა შეჯიბრება დაამთავრეს. საქართველოს ნაკრები XII ადგილზე გავიდა (წინა თამაშებში VIII ადგილი).

**აფროსნობა** (ტოლიატი). საბოლოოდ საქართველოს წარგზავნილებმა აქ წინა თამაშებთან შედარებით ერთი საფეხურით უკან დაიხიეს — X ადგილი.

**ჩოგბურთი** (კუიბიშევი). წელს აქ მხოლოდ გუნდური პირველობა გათამაშდა. ჩვენი გოგონები მერვე ადგილზე გავიდნენ, ბიჭები — მეხუთეზე.

**ბალახის ჰოკეი** (ვასილკოვო). შეჯიბრება დაამთავრეს ბიჭებმა. საქართველოს ნაკრები IX ადგილზე გავიდა. წინა თამაშებში გუნდი X იყო.

**კალათბურთი** (სარატოვი). ფინალურ ორთაბრძოლაში ჩვენი ბიჭები დამარცხდნენ ლიტველ თანატოლებთან 59:67. ისევე როგორც პირველ თამაშებში საქართველოს გუნდი ამჯერადაც მეორე ადგილზე გავიდა. გოგონები ვოლგოგრადში ასპარეზობდნენ. ბოლო შეხვედრაში საქართველოს ნაკრებმა მოუგო ყირგიზეთს — 71:68. საბოლოოდ IX ადგილი (პირველ თამაშებში გუნდი VIII იყო).

**ფეხბურთი** (ძერჟინსკი). წარმატებით დაიწყეს წინასწარი შეხვედრები საქართველოს ფეხბურთელებმა. ჩვენმა ბიჭებმა სძლიეს ლენინგრადის გუნდს 2:1.

**ხელბურთი** (ასტრახანი). საქართველო — მოლდავეთი 24:20. ეს იყო თამაშებში ჩვენი გოგონების ბოლო მატჩი. გუნდი XII ადგილზე გავიდა (პირველ თამაშებში XV ადგილი). წანგადადგმული ნაბიჯით დაამთავრეს ასპარეზობა ჩვენმა ბიჭებმაც. ისინი V ადგილზე არიან (პირველ თამაშებში X). ბოლო მატჩში საქართველოს ხელბურთელებმა მოუგეს ლატვიის გუნდს — 30:25.

**მაგიდის ჩოგბურთი** (გორკი). სოხუმელმა პაატა ფირცხალავამ წარმატებით იასპარეზა და მედალი მოუტანა საქართველოს სპორტულ დელეგაციას. იგი წყვილთა შეჯიბრებაში მესამე იყო.

**სპორტული ტანვარჯიში** (ვორონეჟი). ასპარეზობის პირველ ორ დღეს ჩვენს სპორტსმენებს ხელი მოეცარათ დვირზე ვარჯიშში. გოგონები გუნდურ შეჯიბრებაში ჯერჯერობით XII ადგილზე არიან. პირად პირველობაში თავისუფალ ვარჯიშში II ადგილზე მიდის სოფიკო მანაგაძე.

შეჯიბრებები დამთავრდა სპორტის 18 სახეობაში. საქართველოს სპორტულ დელეგაციას დღემდე მოპოვებული აქვს 20 მედალი: ოქროსი — 6, ვერცხლისა — 8 და ბრინჯაოსი — 6. ამ სახეობებში ასპარეზობების დამთავრების შემდეგ პირველ თამაშებში მოპოვებული იყო 17 მედალი (შესაბამისად 6, 7, 4). ამასთან შეგახსენებთ, რომ ჩოგბურთში წელს პირადი პირველობა არ გათამაშებულა (პირველ თამაშებში კი პირად შეჯიბრებებში მოპოვებული იყო 6 მედალი).

### ქალთა საკავშირო ტურნირი ფეხბურთში

# ყოჩაღ, გოგონებო!

**მოსკოვის** მახლობლად ქალაქ კაშირაში გაიმართა ფეხბურთელ ქალთა მეორე საკავშირო ტურნირის ფინალური მატჩი. გამარჯვებულს გადაეცემა ყოველკვირეული გამოცემა „სობესედნიკის“ რედაქციის პრიზი.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს „ივერია“, რომელიც თბილისისა და ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლების სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული, და მოსკოვის ოლქის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბის გუნდი.

ფინალური მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც თამაშის ბოლო წუთზე 11-მეტრიანით გაიტანა „ივერიის“ მოთამაშემ ინგა სალამანიძემ — 1:0.

მოსკოვის ოლქის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო მესამეზე გავიდა ქალაქ რამენსკოეს „ტექსტილშჩიკი“, რომელმაც ანგარიშით 2:1 დაამარცხა კიევის „სპარტაკი“.

ტურნირში გამარჯვებული საქართველოს გუნდი მონაწილეობას მიიღებს ფეხბურთელ ქალთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც პრაღაში გაიმართება აგვისტოში. ამ ტურნირს ხელმძღვანელობს ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდული ჟურნალი „მლადა სვეტი“.

აღსანიშნავია, რომ „სობესედნიკის“ ტურნირში შარშან 8 გუნდი მონაწილეობდა, წლეულს კი თამაშებში მონაწილეობის სურვილი 80 კოლექტივმა გამოთქვა.



### ინფორმაცია

**კლაიპედა.** სსრ კავშირის ჩემპიონი წყვილთა ჯგუფურ ველორბოლაში (180 წრე, 18 საშუალედო ფინიში) გახდა უილდის იანსონსის და დაინის გრანტიშის (ორივე — რიგა) დუეტი. წყვილებით გამოდევნებით რბოლაში 4 კილომეტრზე გამარჯვება სერგეი ბატიუროვმა (ხარკოვი) და ვადიმ კრავჩენკომ (ალმა-ათა) მოიპოვეს.

**რიგა.** სოციალისტური ქვეყნების მეგობრობის თასის მესამე ეტაპზე წარმატებით იასპარეზეს საბჭოთა ავტომობილისტებმა. „ა“ ჯგუფის მანქანებით რბოლაში უძლიერესი იყო მოსკოველი ალექსეი გრიგორიევი, „ვოსტოკის“ ჯგუფში კი მისი თანაგუნდელი ვიქტორ კოზანკოვი.

### ყოველ სამშაბათს...

## რამ გაგახარათ, რამ დაგწყვიტათ გული?

4-11 ივლისი

გასული კვირის სპორტული მოვლენებიდან მთავარი მაინც ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშები გახლავთ. ეს დიდი კომპლექსური სპორტული ღონისძიება იმითაა ღირსშესანიშნავი, რომ მასში ძალებს ცდიან ისინი, ვინც ხვალ და ზეგ უფროსი თაობის ტრადიციები უნდა განაგრძონ. ქართული სპორტის გულშემატკივრებს ახარებს ამ ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა წარმატებები. ჯერჯერობით საქართველოს სპორტული დელეგაცია თამაშებში მოპოვებული მედლების რაოდენობით მეხუთე ადგილზეა.

გასულ კვირაში კიდევ რამდენიმე სასიხარულო ცნობა მივიღეთ — მაია ჩიბურდანიძე რეიტინგით კვლავ სათავეში უდგას მსოფლიოში უძლიერეს ქალ მოჭადრაკეთა სიას, მეორე ადგილზე მიდის ნანა იოსელიანი. იტალიაში გამართულ თანამედროვე ხუთჭიდელთა დიდ საერთაშორისო ტურნირში ვახტანგ იაგორაშვილი მეორე იყო (საბჭოთა გუნდში საუკეთესო) და შეუვალად განიმტკიცა ოლიმპიური ნაკრების ლიდერის პოზიცია. წინასაოლიმპიადო გამოცდა ასევე წარმატებით ჩააბარა კლასიკური სტილის მოჭიდავემ გურამ გედეხაურმა.

არის სპორტის სახეობები, სადაც ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები ტრადიციულად მხოლოდ მაღალი შედეგებისთვის იბრძვიან. ჩვენთვის ძიუდოც სპორტის ასეთი სახეობაა. ამიტომ მოსთხოვა მკითხველმა ჭაბუკთა ნაკრების ხელმძღვანელობას განმარტება, თუ რატომ ვერ შესძლო კოლექტივმა გუნდური პირველობის მოპოვება.

კიდევ ერთი გულდასაწყვეტი და შემაშფოთებელი დამარცხება იწვნია თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა. თუმცა, მკითხველები შენიშნავენ რომ მოსკოვის ტორპედოელებთან შეხვედრისას მატჩის მეორე ნახევრის ვიდეოჩანაწერით თუ განვსჯით, ჩვენი გუნდი ცუდად არ გამოიყურებოდა.

„ლელომ“ გასულ კვირაში მკითხველთა ბევრი წერილი მიიღო ჩვენს ფეხბურთელებთან დაკავშირებით. რედაქციამ ყველა წერილი გააცნო გუნდის ხელმძღვანელობას.

დღევანდელი მიმოხილვისას გათვალისწინებულია მკითხველების გ. ბარბაქაძის (ჭიათურა), ვ. მაღლაკელიძის (ორჯონიკიძის რ-ნი), ვ. ბერაკოზაშვილის (გარდაბანი), ს. ხელაძის (რუსთავი), ა. ხმალაძის, ბ. სალხინაშვილის, ვ. ჩადუნელის (სამივე — გორი), ბ. სამუშიას, დ. ცინცაძის, კ. გვაზავას, ე. მაჩიტაძის, ჯ. მამულაშვილის, ა. დეკანოზიშვილის (ყველა — თბილისი) აზრი და წინადადებები.

### კალათბურთში ოლიმპიური შესარჩევი ტურნირი

## სამი ოლიმპიური საგზური

**როტერდამი.** საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ოლიმპიური შესარჩევი ტურნირის ბოლოსწინა მატჩში დიდი ანგარიშით დაამარცხა ესპანეთის გუნდი — 129:82 (65:41) და შეჯიბრების დამთავრებამდე ერთი დღით ადრე გაინაღდა სეულის ოლიმპიადის საგზური (ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები: კურტინაიტისი — 30 ქულა და ვოლკოვი — 21).

შემდეგ, უკვე გამარჯვებული გუნდის რანგში, ჩვენები იტალიელებს შეხვდნენ და ისინიც დაამარცხეს 107:86. (საუკეთესო სნაიპერები: კურტინაიტისი — 22 ქულა და ვოლკოვი — 21).

სხვა შეხვედრათა შედეგები: საბერძნეთი-იტალია 91:88, ინგლისი-გფრ 90:79, იუგოსლავია-საფრანგეთი 104:81, ინგლისი-საფრანგეთი 91:76, საბერძნეთი-გფრ 94:87.

სეულის ოლიმპიადის საგზური საბჭოთა ნაკრების გარდა იუგოსლავიისა და ესპანეთის კალათბურთელებმა მოიპოვეს.

## გამარჯვება საზეიმოდ აღნიშნეს

**გამარჯვებას** ზეიმით დაგვირგვინება ამშვენებს. ეს ზეიმი კი დიდხანს ემახსოვრებათ კასპის რაიონის მშრომელებს. მეტეხში, ჭიდაობის სპორტულ სკოლაში ამ დღეებში საზეიმოდ გადასცეს ჯილდოები ქართულ ჭიდაობაში საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე რესპუბლიკის ქალაქების უბნებსა და სოფლებს შორის გამარჯვებული მეტეხის მოჭიდავეთა გუნდს და მის წევრებს. ზეიმზე სტუმრად მოიწვიეს ჩვენი რესპუბლიკის უფროსი და საშუალო თაობის ცნობილი ფალავნები, ქართული ჭიდაობის სპეციალისტები. შემდეგ სოფლის სარბიელზე გაიმართა საჩვენებელი შეჯიბრებები.

### წოდების მინიჭება

სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

ტყვიის სროლაში — **ნინო უჩაძეს** (ქუთაისი, „დინამო“);

ძალოსნობაში — **თეიმურაზ მოწონელიძეს** (თბილისი, ასკ), **სოსლან კოჩიევს** (ცხინვალი, პროფკავშირები).

## ქეთევან კახიანს ოთხიდან—4 ქულა

**ივანო-ფრანკოვსკი** (დეპეშით, „ლელოს“ სპეც. კორ.). როგორც ვიუწყებოდით, უკრაინის ამ ქალაქში მიმდინარეობს სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა 48-ე ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი. შესანიშნავად აიღო სტარტი ახალგაზრდა გარდაბნელმა მოჭადრაკემ ქეთევან კახიანმა, რომელმაც ზედიზედ 4 გამარჯვება მოიპოვა და 4 ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობს გათამაშებას: მან მოუგო ალმაათელ სახატოვას, შიაულიაელ დომკუტეს, აშხაბადელ ოვეზოვას და ალმაათელ უსკოვას.

3-3 ქულით ლიდერს კვალში მიჰყვებიან ირინა ოსტრი (ფრუნზე, ოსტატი) და უსკოვა. ლვოველ საერთაშორისო დიდოსტატს ზოია ლელჩუკსა და კიშინიოველ ოსტატობის კანდიდატს მარიანა შერემეტიევას 2,5-2,5 ქულა აქვთ.

**გიორგი მაჭარაშვილი.**

## ფენომენალური ბუბკა

### ახალი მსოფლიო რეკორდი ჭოკით ხტომაში

**ნიცა.** 23 წლის სერგეი ბუბკას ნებისმიერი გამოსვლა უცხოეთში მძლეოსნობის მოყვარულთა კანონიერ ინტერესს იწვევს, ვინაიდან კაცმა არ იცის, როდის დაამყარებს იგი მსოფლიო რეკორდს. რეკორდების ცხრილში მას უკვე რვა შესწორება აქვს შეტანილი და როგორც სპეციალისტები ამბობენ, ეს სრულებითაც არ არის მისი შესაძლებლობების ზღვარი.

ამ სიტყვების სისწორე ბუბკამ ნიცაში გამართულ „გრან პრის“ ერთ-ერთი შეჯიბრების დროს დაამტკიცა. საბჭოთა მძლეოსანმა ჭოკით ხტომაში 606 სანტიმეტრი დასძლია და თავისივე მიღწევა 1 სანტიმეტრით გააუმჯობესა. ეს სერგეი ბუბკას მეცხრე მსოფლიო რეკორდია.

**ბუშინ** ფეხბურთში საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში მოსკოვის „ტორპედომ“ უმასპინძლა ბაქოს „ნეფთჩის“ და გაიმარჯვა 3:1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟამი შიჭრისა. ჟამი განსჯისა

უნივერსიადა—88

# უნივერსიადა — უმაღლესი სასწავლებლების სპორტული ატესტაცია!

**ორთვე-ნახევრის განმავლობაში რესპუბლიკის საუკეთესო სპორტული ბაზები დათმობილი ჰქონდათ სტუდენტ სპორტსმენებს, რომლებიც უნივერსიადის ჩემპიონობის გარდა საკავშირო ასპარეზობაში მონაწილეობის უფლებისათვის იბრძოდნენ.**

**უნივერსიადის შედეგებსა და მასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ჩვენი კორესპონდენტი უშანგ ჟიჟინაძე ესაუბრა შეჯიბრების მთავარ მსაჯს, საქართველოს პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ოთარ კალაძეს.**

— უნივერსიადას, — თქვა მთავარმა მსაჯმა, — წინ უძღოდა უმაღლესი სასწავლებლების ფიზკულტურული კოლექტივების მასობრივი შეჯიბრებები. ასპარეზობა ორ ეტაპად ჩატარდა და სარბიელზე გამოვიდა 49.715 სტუდენტი, ასპირანტი, მეცნიერი თანამშრომელი. უნივერსიადის მესამე, ფინალურ ეტაპზე ასპარეზობდნენ 17 უმაღლესი სასწავლებლის, სპორტკლუბებისა და ფიზკულტურული კოლექტივების ნაკრები გუნდები.

● **რით განსხვავდებოდა უნივერსიადა-88 წინა ასპარეზობისაგან?**

— პირველ ყოვლისა, მონაწილეთა რაოდენობით. თუ წინა შეჯიბრებაში 2.481 სპორტსმენი გამოდიოდა, ამჯერად ეს რიცხვი 1988-მდე შემცირდა. ეს იმის გამო მოხდა, რომ დებულებით, მონაწილეებს, სულ ცოტა, პირველი თანრიგი მაინც უნდა ჰქონოდათ. ამ მხრივ გამონაკლისი იყო წყალბურთი, მძლეოსნობა, ძალოსნობა, ცურვა, ტანვარჯიში, სადაც უფრო დაბალი თანრიგის სპორტსმენები გამოდიოდნენ.

● **როგორ წარიმართა პირველობისთვის ბრძოლა?**

— გარდა აკრობატიკისა, სპორტის ყველა დანარჩენ სახეობაში გამოვიდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლები. ოთხ-ოთხ სახეობაში არ მიუღიათ მონაწილეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კლუბებს. მიუხედავად ამისა, ფიზკულტურისა და სპორტის მომავალმა სპეციალისტებმა საგრძნობლად გაუსწრეს მთავარ კონკურენტებს — პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, უნივერსიტეტს. მათ ცხრამეტი პირველი, ხუთი მეორე და ორი მესამე ადგილი მოიპოვეს, ხოლო არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ყველაზე მეტი — 10.750 ქულა დააგროვეს. მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს შედეგები საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა, რომლებმაც რვა პირველი, თერთმეტი მეორე და ცხრა მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვეს. მათ ჩამოიტოვეს თბილისის უნივერსიტეტელები, რომელთაც ორი პირველი, შვიდი მეორე და ცხრა მესამე ადგილი ხვდათ. ვფიქრობ, დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივის გამოსვლა. ამ გუნდის ანგარიშზეა სამი მეორე და ამდენივე მესამე საპრიზო ადგილი. ცალკეულ სახეობებში წარმატებით გამოვიდნენ თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტსმენები, რომლებმაც, სრულიად მოულოდნელად, გაიმარჯვეს ბადმინტონისტ და ხელბურთელ ქალთა ტურნირებში, ხოლო აკრობატიკასა და ველოსპორტში მეორე საპრიზო ადგილები დაიკავეს. ფეხბურთში პირველობა არავის დაუთმო ზოოვეტერინარული ინსტიტუტის გუნდმა, ამავე სასწავლებლის ხელბურთელი ქალები კი მეორე ადგილზე გავიდნენ.

სუსტად იასპარეზეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და თბილისის სამედიცინო ინსტიტუტების კოლექტივებმა, რომლებსაც თითო მეორე და მესამე ადგილი ხვდათ.

● **როგორი იყო უნივერსიადის „ხადარბაზო ბარათი?“**

— შეჯიბრებაში მონაწილეობდა თორმეტი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ორას ოცდაექვსი სპორტის ოსტატი, სამას სამოცდათექვსმეტი ოსტატობის კანდიდატი, ათას სამასორმოცდაათამდე პირველთანრიგოსანი და მეორეთანრიგოსანი.

ფინალურ შეჯიბრებებს ემსახურებოდა ცხრა საერთაშორისო კატეგორიის, ორმოცდაერთი საკავშირო და ას სამოცდაცხრა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი. სათანადო დონეზე ჩატარდა შეჯიბრებები კალათბურთში (ვაჟები), კრივში, ფარიკაობაში, ჭიდაობაში, ფეხბურთში, ჭადრაკსა და მძლეოსნობაში.

● **ცალკეული შედეგებიდან რომელს გამოყოფდით?**

— გამოვყოფდი მძლეოსნების მაჩვენებლებს. წინა უნივერსიადაზე არც ერთს არ მოუპოვებია სპორტის ოსტატის შედეგი. ახლა ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა—თარჯმორბენალმა გელა ვეშაპიძემ და ბირთვის მკვრელმა ელმირა ურუსოვამ გაიმეორეს ეს მიღწევა. ხუთმა მონაწილემ ოსტატობის კანდიდატის ნორმა შეასრულა, ოცდაორმა კი — პირველი თანრიგისა.

ისიც უნდა ითქვას, რომ მაღალი კლასის სპორტსმენთა უმრავლესობამ ვერ გაიმეორა თავისი მიღწევები. მაგალითად, მოცურავეთა შორის იყო ათი სპორტის ოსტატი, ოცდაოთხი ოსტატობის კანდიდატი, თორმეტი პირველთანრიგოსანი. მათგან მხოლოდ ერთმა დაადასტურა სპორტის ოსტატის, ხუთმა კი—კანდიდატის შედეგი. ხუთი მოცურავე ვერც ერთ სათანრიგო მოთხოვნას ვერ შესწვდა.

მსგავსი სურათი იყო ტყვიის მსროლელთა ასპარეზობაში, სადაც ერთი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი და შვიდი სპორტის ოსტატი გამოდიოდა. აქ მხოლოდ ერთმა გაიმეორა ოსტატის ნორმა, ხუთმა კი კანდიდატის. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გოჩა სარუხანოვი მხოლოდ პირველ თანრიგს შესწვდა. ეტყობა, ტყვიის სროლა მაინცდამაინც დიდად პოპულარული არ არის ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მსაჯთა კოლეგიამ ასპარეზობიდან მოხსნა სასოფლო-სამეურნეო და ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტების გუნდები, რომლებიც უიარაღოდ გამოცხადდნენ ცეცხლის ხაზზე. საერთოდ კი რესპუბლიკის 19 უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენელთაგან სროლაში მხოლოდ ხუთმა შეძლო გუნდის გამოყვანა. მომზადების დაბალი დონე გამოავლინეს სპორტულ ორიენტირებაში მოასპარეზეებმა. მონაწილეთაგან ბევრი ვერც კომპასს იყენებდა და ვერც რუკაში ერკვეოდა, რის გამოც ზოგიერთ სპორტსმენს ტყეში გზა აერია. ამაზე მკაცრად ითქვა „ლელოს“ ფურცლებზე. ძალზე მცირერიცხოვანი გამოდგა შეჯიბრება სპორტულ და მხატვრულ ტანვარჯიშში, აკადემიურ ნიჩბოსნობაში, ბაიდარებითა და კანოეებით ასპარეზობაში, ველოსპორტში, აკრობატიკასა და ძალოსნობაში. თითოეულ ამ სახეობაში 4-5 გუნდი თუ გამოდიოდა. ბათუმის პედინსტიტუტმა, მაგალითად, ძალოსნობაში, მხატვრულ ტანვარჯიშსა და სპორტულ ტანვარჯიშში თითო სპორტსმენი გამოიყვანა. ფარიკაობაში სრული გუნდები ვერ გამოიყვანეს პუშკინის სახელობის თბილისისა და ქუთაისის პედაგოგიურმა ინსტიტუტებმა.

სუსტი მომზადების გამო ტურნირიდან მოხსნეს ბათუმის პედინსტიტუტის, ქუთაისის პოლიტექნიკური და გორის ეკონომიკური ინსტიტუტების ფრენბურთელ ქალთა გუნდები. საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის სპორტულმა კლუბმა (შეჯიბრება იქვე, სოხუმში ჩატარდა) საერთოდ აარიდა თავი ასპარეზობას, თუმცა წინასწარი განაცხადი წარმოდგენილი ჰქონდა. სუსტი მომზადება გამოავლინეს, აგრეთვე, თბილისის უნივერსიტეტის, საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის, ქუთაისისა და სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტების ვაჟებმა. ბათუმის პედინსტიტუტმა თამაშებზე მოავლინა მესამეთანრიგოსანთა გუნდი, რომელიც მსაჯთა კოლეგიამ არ დაუშვა. თანაბარი ძალები არც კალათბურთელთა და ხელბურთელთა ტურნირებში იყო, რაზედაც მეტყველებს დიდი სხვაობა მატჩების ანგარიშებში. მაგალითად, ფიზკულტურის ინსტიტუტის ვაჟებმა ანგარიშით 107:38 სძლიეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდს, ხოლო უნივერსიტეტელებმა მოუგეს პუშკინის სახელობის პედინსტიტუტს — 136:56.

● **ახლა, როცა უკან დარჩა რესპუბლიკური უნივერსიადა, დადგა განსჯისა და ფიქრის დრო, რა პრობლემები წამოჭრა ასპარეზობამ?**

— ერთ-ერთი პრობლემა საუწყებო ხასიათისაა, რაც იმთავითვე მოსდევს სტუდენტთა მსგავს შეჯიბრებებს. ბევრი ფიქრობს და, სხვათა შორის, ოფიციალურადაც მოითხოვს, რომ სხვა უწყების, ესე იგი „დინამოს“, არმიის, „შრომითი რეზერვების“ სპორტსმენები არ უნდა მონაწილეობდნენ უნივერსიადაში. ამ სტატუსს მტკიცედ იცავენ საკავშირო ასპარეზობაზეც, სადაც ზემოდასახელებულ საზოგადოებათა წევრები არ გამოდიან. მაგრამ თუ ისინი სტუდენტები არიან და ამ ასპარეზობასაც სტუდენტთა თამაშები ჰქვია? რატომ არის, რომ მსოფლიო უნივერსიადებში ამ მხარეს არავინ აქცევს ყურადღებას? ამ საკითხზე გაამახვილა ყურადღება „სოვეტსკი სპორტმაც“.

ჩვენ გარკვეული სიფრთხილე გამოვიჩინეთ და გუნდურ ასპარეზობებში (საკავშირო უნივერსიადაზე რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული უნდა გამოვიდეს), აგრეთვე კრივში მხოლოდ პროფკავშირელი სპორტსმენები დავუშვით. სასწავლებლებს შეღავათი მივეცით და მეორეთანრიგოსნების გამოყვანის ნება დავრთეთ ძალოსნობაში, მძლეოსნობაში, ტყვიის სროლასა და წყალბურთში. დანარჩენ სახეობებში მოასპარეზენი პირველთანრიგოსნები მაინც უნდა ყოფილიყვნენ. მიუხედავად ამისა, არც აქ აღმოვჩნდით ფორმალიზმისაგან დაზღვეულნი, რადგან ნიჩბოსნობაში, ტყვიის სროლაში, ტანვარჯიშსა და ძალოსნობაში ეს თანრიგი ვერ შესრულდა.

● **თუ გადავხედავთ უნივერსიადის შედეგებს, ქულათა დიდ სხვაობას დავინახავთ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ყველა თანაბარ მდგომარეობაში არ უნდა იყოს.**

— მართალი ბრძანდებით. მონაწილენი სიძლიერის მიხედვით, ჯგუფებად რომ დაგვეყო, შეჯიბრება უფრო მიმზიდველი იქნებოდა. მაშინ იგივე სამხატვრო აკადემია, თეატრალური ინსტიტუტი და კონსერვატორიაც გამონახავდნენ სათანადო ძალებს. მაშინ უნივერსიადა სანახაობრივი თვალსაზრისითაც უფრო მოიგებდა. ამასთან კომპლექსური ჩათვლა უფრო ნათელ სურათს მოგვცემდა, თუ სად როგორი მდგომარეობაა. მაგრამ სტუდენტთა სპორტი რომ მაღალი დონისა იყოს, ამისათვის საჭიროა ძლიერთაგან შემდგარი პირველი ჯგუფი, იქ მოსახვედრად კი დიდი კონკურენცია უნდა გაჩაღდეს დაბალ რეგიონებში.

● **რას იტყვით სპორტულ ორიენტირებაზე, სადაც ჩვენი სტუდენტური სპორტი ჯერჯერობით ულიმლამოდ გამოიყურება?**

— ორიენტირება ჩვენში ახალი ხილია, მაგრამ, ვფიქრობ, ახალგაზრდობას მოეწონა იგი. ამ სახეობაში უკვე გავხსენით ჯგუფები თბილისში, ქუთაისში. მისი განვითარების დიდი შესაძლებლობებია თბილისის უნივერსიტეტში, საქართველოს პოლიტექნიკურ და ფიზკულტურის ინსტიტუტებში, სადაც უკვე ფეხს იკიდებს ეს სახეობა.

უნივრსიადის დღეებში ჩერნოვციდან მოვიწვიეთ ორიენტირების ორი სპეციალისტი, რომლებიც ქუთაისში ჩავიდნენ და სპორტსმენებს დაეხმარნენ რუკების შედგენაში.

კიდევ ერთი შენიშვნა: უნივერსიადის ჩატარების დრო მაინცდამაინც კარგად არ იყო შერჩეული, და აი, რატომ. მას დაემთხვა ჭაბუკთა მეორე საკავშირო თამაშების ტურნირები, ამ შეჯიბრებებში ფაქტობრივად ერთი და იმავე ასაკის სპორტსმენებს უხდებათ გამოსვლა, რის გამოც გვიჭირს ორივე სამი სრულყოფილი ნაკრების დაკომპლექტება.

და ბოლოს, მისასალმებელია, რომ უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის შემოიღეს გამოცდა ფიზმომზადებაში. ეს დიდად შეუწყობს ხელს სკოლაში ფიზკულტურის გაკვეთილების მნიშვნელობის ამაღლებას და სტუდენტთა სპორტსაც საგრძნობლად წინ წასწევს. ასე რომ, მომავალში უნივერსიადები უფრო მწვავე ბრძოლებში ჩატარდება.

## უნივერსიადა: კოლექტივები, სახეობები და შედეგები

| № | სპორტის სახეობები / უმაღლესი სასწავლებლები | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 32 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | III | 7-9 | III | III | III | 5-8 | III | II | II | 7 | 6 | I | — | — | II | 4 | 4 | — | III | 4 | I | III | II | III | — | II | 4 | II | III | 4 | II | III |
| 2 | საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი | II | 4-6 | II | II | II | III | II | III | III | 4 | I | III | II | III | III | II | II | I | II | II | III | 4 | I | I | I | I | I | I | II | III | III | — |
| 3 | ფიზკულტურის ინსტიტუტი | I | 10-11 | I | I | I | I | I | I | I | I | — | II | I | I | I | I | I | II | I | — | II | II | III | II | — | 4 | — | III | I | I | I | I |
| 4 | სამედიცინო ინსტიტუტი | 6 | — | 5-8 | — | 7 | 5-8 | — | — | — | — | II | 4 | — | — | — | — | — | — | — | 7 | 4 | 9 | 7-9 | 4 | — | — | III | 7 | 6 | — | 12 | — |
| 5 | სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი | 8 | — | 5-8 | 4 | 4 | 5-8 | — | — | — | III | 9 | II | — | — | — | — | — | — | — | — | 7 | II | 4-6 | — | — | — | — | — | 7 | II | 4 | — |
| 6 | თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი | 9 | I | — | — | — | — | — | 5 | 4 | 12 | — | 9 | III | — | — | — | 5 | III | 4 | I | — | — | — | 5 | — | — | — | 5 | — | — | — | II |
| 7 | ზოოვეტერინარული ინსტიტუტი | — | II | 4 | — | 9 | 13 | 5 | — | — | 6 | 13 | — | — | — | 9 | — | — | — | — | — | — | I | — | — | — | — | — | — | 5 | 6 | 7 | — |
| 8 | აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი | — | 4-6 | — | 9 | — | 9-12 | 7 | — | — | 5 | 5 | 8 | — | — | 5 | — | — | — | — | — | 5 | 5 | 10 | — | — | — | — | 8 | — | — | 6 | — |
| 9 | ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი | 5 | 10-11 | 5-8 | 7 | 8 | II | — | — | — | 8 | 7 | 6 | 4 | — | 4 | III | III | 4 | — | 5 | 8 | 8 | 4-6 | — | II | III | II | 4 | 4 | 9 | 9 | — |
| 10 | ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი | 4 | III | 9-12 | — | 10 | 9-12 | 6 | — | — | 11 | 11 | 5 | — | 4-6 | — | — | — | — | 5 | — | 9 | — | 7-9 | — | — | — | 5 | — | — | — | 3 | — |
| 11 | გორის ეკონომიკური ინსტიტუტი | — | 7-9 | 9-12 | — | — | 9-12 | — | — | — | II | 10 | 7 | — | — | — | — | — | — | — | III | — | — | — | — | III | — | — | 6 | — | 5 | — | — |
| 12 | ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი | — | 4-6 | — | — | — | 5-8 | 4 | — | — | — | III | — | — | II | 8 | — | — | — | — | — | — | 10 | 7-9 | — | — | — | — | — | — | 7 | 10 | — |
| 13 | ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი | 10 | 7-9 | 5-8 | 6 | 5 | — | — | 4 | — | — | 4 | 12 | — | 4-6 | — | — | — | — | — | — | 6 | 7 | — | — | — | — | — | — | — | — | II | — |
| 14 | თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი | — | — | 9-12 | 8 | 6 | 4 | 8 | — | — | 9 | — | — | — | 4-6 | 6 | — | — | — | — | 6 | — | — | — | — | — | — | — | — | — | 8 | 5 | — |
| 15 | სუბტროპიკული ინსტიტუტი | — | — | 9-12 | 5 | — | 9-12 | — | — | — | 10 | 12 | 10 | — | — | — | — | — | — | — | — | — | 6 | 4-6 | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 16 | უცხო ენათა ინსტიტუტი | 7 | — | — | — | — | — | — | — | — | — | 8 | — | — | — | — | 5 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 17 | სამხატვრო აკადემია | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 7 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 18 | თეატრალური ინსტიტუტი | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| 19 | სახელმწიფო კონსერვატორია | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |

### არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ადგილები შემდეგნაირად განაწილდა:

1 ადგილი — საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი — 10 750 ქულა.
2. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 7 977
3. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი — 6 361,5
4. ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი — 3.333
5. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი — 1.490
6. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი — 1 453
7. თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტი — 1388,5
8. თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი — 1278
9. აფხაზეთის უნივერსიტეტი — 1170
10. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი — 1115
11. გორის ეკონომიკური ინსტიტუტი— 937,5
12. თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი — 970
13. ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი — 873
14. ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი — 800
15. სოხუმის სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი — 575
16. თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტი — 102
17. სამხატვრო აკადემია — 6,5.

**რედაქციისაგან: მთავარი მსაჯის ინტერვიუში ძირითადად მსჯელობა მაინც ზოგადია. ჩვენთვის გაუგებარია, რატომ არაფერია ინტერვიუში ნათქვამი უმაღლეს სასწავლებლებში სპორტული მუშაობის ჩამორჩენის მიზეზებზე, რატომ არაა დასახელებული კონკრეტული პირები. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს სათქმელი ბოლომდე არ ითქვა. ყველა ნაკლოვანების მიღმა, რაზედაც „ლელომ“ უნივერსიადის მსვლელობისას არაერთგზის გაამახვილა ყურადღება, ცხადია, კონკრეტული პიროვნებაა, რომელიც უპასუხისმგებლოდ ეკიდება საქმეს. უნივერსიტეტის ხელმძღვანელებისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა მსგავსად ყველა როდი გამოდის სპორტულ სარბიელზე სტუდენტებთან ერთად. ეს ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია, პირადი მაგალითი ყველაფერში საჭიროა ახალგაზრდობისათვის. სადაც უპასუხისმგებლობაა, იქ შედეგებიც სავალალოა, რამაც უნივერსიადაზეც იჩინა თავი.**

**დაბოლოს, რატომ არაფერია ინტერვიუში ნათქვამი უნივერსიადის დღეებში „ლელოს“ კრიტიკული გამოსვლების პასუხად? მხოლოდ ფაქტის კონსტატაცია საქმეს ვერ შველის. ვფიქრობთ, ადრე ჩვენს მიერ ხაზგასმული ნაკლოვანებების ღრმა ანალიზი მაინც საჭიროა. ალბათ ამ კითხვის საბოლოო პასუხს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი გასცემს.**

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

### უმაღლესი ლიგა

გთავაზობთ სსრ კავშირის 51-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მე-14 ტურის სტატისტიკურ მონაცემებს.

**„დნეპრი“ — „ზენიტი“ 1:1 (0:0).** გოლები: ქელუდკოვი („ზენიტი“), სონი („დნეპრი“).

გააფრთხილეს ლენინგრადელი ქელუდკოვი და დნეპროპეტროვსკელი ჩერედნიკი.

დუბლიორები — 1:0.

**„სპარტაკი“ — „დინამო“ (მინსკი) 4:2 (2:1).** გოლები: როდიონოვი (2), შალიმოვი, კუზნეცოვი („სპარტაკი“), ალეინიკოვი, დერკაჩი („დინამო“).

დუბლიორები — 4:4.

**„დინამო“ (მოსკოვი) — „მეტალისტი“ 1:1 (1:1).** გოლები: იაკუბოვსკი („მეტალისტი“), ბოროდიუკი („დინამო“).

გააფრთხილეს დინამოელთა მცველი მოროზოვი.

დუბლიორები — 1:0.

**„შახტიორი“ — „ლოკომოტივი“ 0:1 (0:0).** გოლი: რუსიაევი.

გააფრთხილეს ლეონოვი („შახტიორი“) და გორლუკოვიჩი („ლოკომოტივი“).

დუბლიორები — 3:0.

**„ნეფთჩი“ — „კაირატი“ 4:2 (2:1).** გოლები: სულეიმანოვი, პონომარიოვი, აჰმედოვი-2 („ნეფთჩი“), ფეხლევანიდი, რაფიკოვი („კაირატი“).

გააფრთხილეს ალმაათელი ფეხბურთელები იაროვენკო, ფეხლევანიდი, აგრეთვე, ბაქოელები აბდულაევი, აზიმოვი და ალხაზოვი. შემდეგ მინდვრიდან გააძევეს ალმაათელი იაროვენკო და ბაქოელი აბდულაევი.

დუბლიორები — 2:1.

**„დინამო“ (კიევი) — „არარატი“ 2:0 (1:0).** გოლები: ბელანოვი, მიხაილიჩენკო.

დუბლიორთა მატჩი არ შემდგარა.

**„ჩერნომორეცი“ — „ჟალგირისი“ 1:0 (0:0).** გოლი: ნიკიფოროვი.

გააფრთხილეს ოდესელები კუზნეცოვი და ზირჩენკო, აგრეთვე, ვილნიუსელი ივანაუსკასი.

დუბლიორები — 0:0.

◉ **დნეპროპეტროვსკის** „დნეპრმა“ მეშვიდე ფრე ჩაიწერა გათამაშების ცხრილში, ფრეთა ლიმიტი კი — 10 კვლავინდებურად ძალაშია.

◉ **„ჟალგირისი“** ზედიზედ 10 ტურის მატჩებში არ დამარცხებულა, ბოლო 2 ტურში კი გუნდმა საკუთარ მინდორზე ფრედ ითამაშა „დნეპრთან“ (2:2) და წააგო ოდესაში (0:1).

◉ **ჩემპიონატის** საუკეთესო ბომბარდირთა შორის დაწინაურდა მოსკოვის დინამოელი ა. ბოროდიუკი — 9 ბურთი. 8-8 გოლი აქვთ გატანილი გ. გურულს („დინამო“, თბილისი) და ო. პროტასოვს („დინამო“, კიევი).

◉ **უკვე** 9 ტურია თამაში არ მოუგია დონეცკის „შახტიორს“.

◉ **განვლილ** ტურში ყველაზე მეტი მაყურებელი დაესწრო კიევის „დინამოსა“ და ერევნის „არარატის“ მატჩს — 39.000, ხოლო ყველაზე ნაკლები — მოსკოვის „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ თამაშს — 3.900.

◉ **სსრ** კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ მოსკოვის „დინამოში“ თამაშის ნება დართო ა. ერიომენკოს (მოსკოვის „ტორპედო“) და ლენინგრადის „ზენიტში“ — ს. ვედენეევს (რიგის „დაუგავა“), ნიკოპოლის „კოლოსის“ ფეხბურთელი ს. ხუდოჟილოვი და კიროვოგრადის „ზვეზდას“ მოთამაშე ს. რალიუჩენკო ჩაირიცხნენ ხარკოვის „მეტალისტში“.

◉ **მოსკოვის** „სპარტაკის“ ფეხბურთელმა ვ. ხიდიატულინმა ბოლო მატჩი ჩაატარა თავისი გუნდის შემადგენლობაში. იგი მიემგზავრება საფრანგეთში, სადაც „ტულუზაში“ ითამაშებს.

**გათამაშების ცხრილი**

**დუბლიორთა შემადგენლობანი**

**მდგომარეობა 12 ივლისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ მ. | 14 | 10 | 2 | 2 | 25-9 | 22 |
| „ჩერნომორ.“ | 14 | 7 | 5 | 2 | 17-7 | 19 |
| „დინამო“ კ. | 12 | 8 | 2 | 2 | 21-11 | 18 |
| „სპარტაკი“ | 12 | 7 | 2 | 3 | 26-16 | 16 |
| „ტორპედო“ | 14 | 7 | 2 | 5 | 21-20 | 16 |
| „ჟალგირისი“ | 13 | 6 | 4 | 3 | 27-10 | 16 |
| „დინამო“ თბ. | 13 | 6 | 4 | 3 | 17-15 | 16 |
| „ლოკომოტივი“ | 12 | 6 | 2 | 4 | 19-12 | 14 |
| „ზენიტი“ | 13 | 5 | 2 | 6 | 13-17 | 12 |
| „დნეპრი“ | 14 | 4 | 2 | 8 | 12-21 | 10 |
| „მეტალისტი“ | 14 | 3 | 4 | 7 | 14-17 | 10 |
| „არარატი“ | 12 | 3 | 3 | 6 | 16-23 | 9 |
| „შახტიორი“ | 13 | 3 | 3 | 7 | 16-25 | 9 |
| „დინამო“ მნ. | 14 | 3 | 2 | 9 | 14-28 | 8 |
| „კაირატი“ | 14 | 3 | 2 | 9 | 12-28 | 8 |
| „ნეფთჩი“ | 12 | 2 | 3 | 7 | 4-15 | 7 |

## II ლიგა

გაიმართა II ლიგის III ზონის მორიგი ტურის მატჩები. „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) 3:0, „კოლხეთი“ (ფოთი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 3:0, „მერცხალი“ (მახარაძე) — „მაშუკი“ (პიატიგორსკი) — 2:0, „ლუჩი“ (აზოვი)—„დრუჟბა“ (მაიკოპი) 3:0, „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „ისკრა“ (ერევანი) 4:0, „სპარტაკი“ (ტამბოვი) — „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) 2:1, „ურალანი“ (ელისტა) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:1, „ლოგარი“ (ასტრახანი) — „დინამო“ (სოხუმი) 0:1.

კიროვაკანის „ლორისა“ და ანაპის „სპარტაკის“, აგრეთვე, ლენინაკანის „ოლიმპიასა“ და ნოვოროსიისკის „ცემენტის“ მატჩები გადატანილია.

გაიმართა ამავე ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XII ტურის მატჩები: „დინამო (მახაჩყალა)— „მეტალურგი“ (რუსთავი) 1:0, „თერგი“ (გროზნო) — „ლოკომოტივი“-ომც (თბილისი) 5:1, „ტორპედო“ (ვოლჟსკი) — „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) 0:2, „ატომმაში“ (ვოლგოდონსკი)—„გოიაზანი“ (ყაზახი) 1:1, „შევარდენი“-სპი (თბილისი)—„ტექსტილშჩიკი“ (კამიშინი) 0:0, „ლოკომოტივი“ (მინ. წყლები) — „სოკოლი“ (სარატოვი) 1:3.

XIII ტურის შეხვედრაში თბილისის „შევარდენმა“-სპი-მ სარატოვის „სოკოლს“ უმასპინძლა, თამაში დამთავრდა სტუმართა გამარჯვებით — 4:1. რუსთავის „მეტალურგმა“ გასვლითი მატჩი წააგო გროზნოში „თერგთან“ — 1:5.

გათამაშების ცხრილი დღეისათვის ასე გამოიყურება:

**გათამაშების ცხრილი**

**IX ზონა**

**მდგომარეობა 12 ივნისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სოკოლი“ | 12 | 8 | 3 | 1 | 27-14 | 19 |
| „ტორპედო“ ქ. | 11 | 8 | 2 | 1 | 19-9 | 18 |
| „მეტალურგი“ | 12 | 8 | 1 | 3 | 27-16 | 17 |
| „თერგი“ | 13 | 7 | 1 | 5 | 23-14 | 15 |
| „შევარდ.“-სპი | 12 | 6 | 3 | 3 | 20-14 | 15 |
| „ქიაფაზი“ | 10 | 6 | 1 | 3 | 22-10 | 13 |
| „ატომმაში“ | 12 | 5 | 3 | 4 | 18-10 | 13 |
| „დილა“ | 11 | 5 | 1 | 5 | 18-22 | 11 |
| „დინამო“ | 12 | 5 | 1 | 6 | 17-19 | 11 |
| „ლოკ.“ (მინ. წ.) | 11 | 3 | 3 | 5 | 14-16 | 9 |
| „გოიაზანი“ | 10 | 3 | 3 | 4 | 12-13 | 9 |
| „ტექსტილშჩ.“ | 11 | 3 | 3 | 5 | 10-13 | 9 |
| „ხაზარი“ | 9 | 3 | 2 | 4 | 10-14 | 8 |
| „ტორპედო“ ვ. | 12 | 2 | 1 | 9 | 10-24 | 5 |
| „ბაკინეცი“ | 9 | 1 | 1 | 7 | 3-22 | 3 |
| „ლოკომ.“-ომც. | 11 | 2 | 1 | 9 | 12-32 | 3 |

## დღეს წილისყრაა

**ევროპის** საფეხბურთო ასოციაციათა კავშირი დღეს თავის შტაბ-ბინაში მოაწყობს კონტინენტის საკლუბო ტურნირების წილისყრას. ჩემპიონთა თასზე მონაწილეობას მიიღებს მოსკოვის „სპარტაკი“, თასების მფლობელთა თასზე — ხარკოვის „მეტალისტი“, ხოლო უეფა-ს თასზე — დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“, ვილნიუსის „ჟალგირისი“, მოსკოვის „ტორპედო“ და მინსკის „დინამო“.

## საქართველოს პირველობა

გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მე-19 ტურის შეხვედრები: „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „მალაროელი“ (ჭიათურა) 3:2, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „სულორი“ (ვანი) 1:1, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „მადნეული“ (ბოლნისი) 1:0, „მეშახტე“ (ტყიბული) — „სქური“ (წალენჯიხა) 3:2, „ივერია“ (ხაშური) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 1:1, „დურუჯი“ (ყვარელი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 1:1, „ქართლი“ (გორის რ-ნი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 2:3, „არმაზი“ (მცხეთა) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 2:0, „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:1, „შადრევანი“ (წყალტუბო) — „დინამო“ (გაგრა) 1:0.

**საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფარიკაობაში** — **ტურნირის მერე**

# კითხვები უპასუხოდ რჩება

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მოფარიკავეთა** საკავშირო ჩემპიონატი ის შეჯიბრება არ გახლავთ, სადაც მნიშვნელოვან წარმატებას მოველით საქართველოს ნაკრებისაგან. მაგრამ ქვეყნის უძლიერეს მუშკეტერთა „დუელებს“, რომელიც ამასწინათ დამთავრდა ლენინგრადში, ჩვენთვის ორი მეტად საყურადღებო საკითხი უნდა გადაეწყვიტა, კერძოდ: მოხვდებოდა თუ არა სპორტის დამსახურებული ოსტატი ვლადიმერ აფციაური ოლიმპიურ ნაკრებში, მეორე: როგორ გამოიჩენდნენ თავს ჩვენი ახალგაზრდა სპორტსმენები ესოდენ მნიშვნელოვან ტურნირზე.

ახლა, როცა შეჯიბრება ჩავლილია, უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, **რომ ვერც ერთ კითხვაზე დადებითი პასუხი ვერ მივიღეთ, თუმცა ვლადიმერ აფციაური კვლავ ინარჩუნებს სეულში გამგზავრების შანსს, უფრო ნაკლებს, რასაკვირველია, ვიდრე ჩემპიონატის წინ.**

როგორც ხედავთ, ჩვენი გუნდის წარუმატებელ გამოსვლას დასაწყისშივე გავუსვით ხაზი, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რა იყო კანონზომიერი და სად შეიძლებოდა მეტის მიღწევა.

დავიწყოთ ისევ ვლადიმერ აფციაურით. მას ბოლო პერიოდში პირდაპირ ფატალური უიღბლობა, თუ რა დავარქვათ ამ ამბავს, დასჩემდა. ყოველთვის სწორედ ფინალში გასასვლელ ბრძოლას აგებს. ახლაც გადამწყვეტი დუელი წააგო თითქმის უცნობ სპორტსმენთან და საბოლოოდ X ადგილზე დარჩა. ძალზე დასანანი ფაქტია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ფინალში, ე. ი. რვა საუკეთესო მოფარიკავეს შორის გასვლით იგი ფაქტობრივად სეულის საგზურს ინაღდებდა. შესაძლოა უკანასკნელი წლების წარუმატებლობამ ერთგვარად საკუთარი ძალების რწმენა შეურყია სპორტსმენს, მას ჩემპიონატზე ნამდვილად შეეძლო ბოლო ზღუდეც გადაელახა.

გუნდური პირველობა ახალი წესით ჩატარდა, 16 კოლექტივი ოთხ ჯგუფად იყო დაყოფილი და წრიული სისტემით შეხვედრების შემდეგ 2-2 გუნდი მეოთხედფინალში აგრძელებდა ბრძოლას.

პირველ შეხვედრას ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტთან აზერბაიჯანის ნაკრებთან (საბოლოოდ მან II ადგილი დაიკავა), ჩვენმა გუნდმა დიდი ძალა შეალია და მხოლოდ ჩხვლეტების უარესი სხვაობით დამარცხდა (ანგარიში საყაიმო იყო — 8:8). შემდეგ ჩვენებმა მოუგეს ლიტვას, მაგრამ წააგეს ბელორუსიის სპორტსმენებთან — თავისი გავლენა იქონია პირველმა მომქანცველმა ბრძოლამ, მეოთხედფინალში გავიდნენ აზერბაიჯანისა და ბელორუსიის ნაკრებები, **ჩვენი გუნდი კი XII ადგილზე აღმოჩნდა.**



პირად პირველობაში აფციაურის გარდა 32 საუკეთესოს შორის მოხვდა მხოლოდ... მწვრთნელი გია აბაშიძე, რომელიც 5 წელია აქტიურ სპორტს ჩამოშორდა და შემდგომი წინსვლისათვის უვარჯიშებელს ძალა აღარ ეყო...

მეტი წარმატება ხვდათ წილად საქართველოს ხმლით მოფარიკავეებს, თუმცა მათაც შეეძლოთ უკეთესის მიღწევა, თუ უძლიერესი შემადგენლობით გავიდოდნენ ბილიკზე. მაგრამ ირაკლი გვარამაძე და დავით თურქია სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ გაემგზავრნენ ლენინგრადში, თუმცა ორი ახალგაზრდის, კახა მახარაძისა და არჩილ ლორთქიფანიძის დამატებით ჩვენი გუნდი, ხელწამოსაკრავი არ გახლდათ. მისმა ლიდერმა **მერაბ ბაზაძემ შესანიშნავად ჩაატარა ტურნირი და ფინალშიც კი მოხვდა, სადაც მან VIII ადგილი დაიკავა. XIII იყო ზაზა მჭედლიძე, მეცხრამეტე — აკაკი მახარაძე...** ერთი სიტყვით, ყველა პირობა იყო იმისათვის, რომ გუნდურ პირველობაში წარმატების იმედი გვქონოდა.

ქვეჯგუფში ჩვენმა გუნდმა თუმცა წააგო უკრაინის ნაკრებთან, მაგრამ შემდეგ ზედიზედ სძლია ლენინგრადისა (მე-2 გუნდი) და ყაზახეთის წარმომადგენლებს და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე გახლდათ ნევისპირელთა პირველი კოლექტივი.

დაძაბული შერკინება ფრედ — 8:8 დამთავრდა, 3-3 შეხვედრა მოიგეს ზაზა მჭედლიძემ და აკაკი მახარაძემ, ორი — მისმა უმცროსმა ძმამ კახამ. აი, მერაბ ბაზაძემ კი თანაგუნდელები დაღალატა — ყველა ორთაბრძოლა წააგო. ლიდერის ასეთი მარცხის მიუხედავად, **საქართველოს ნაკრებმა მხოლოდ ჩხვლეტების უარესი სხვაობით დათმო შეხვედრა და საბოლოოდ VIII ადგილზე გავიდა.** რა მტკიცება უნდა იმას, რომ **ეს შედეგი ჩვენი ხმლით მოფარიკავეებისათვის აშკარად შეუფერებელია.**

**ქალთა შეჯიბრებაში** ჩვენი რესპუბლიკიდან გამოდიოდა გოგონათა გუნდი (მოზრდილი სპორტსმენები ამ სახეობაში არ გვყავს) და, ცხადია, რაიმე წარმატების იმედი არც უნდა გვქონოდა. მართლაც, პირად პირველობაში ყველა საწყის ეტაპზე გამოეთიშა ბრძოლას, **ხოლო გუნდმა 15 კოლექტივს შორის XIII ადგილი დაიკავა.**

**თითქმის იგივე ითქმის დაშნით მოფარიკავეებზე — XVII ადგილი 20 ნაკრებს შორის.** პირად პირველობაში მხოლოდ ჭაბუკმა მოფარიკავემ დავით აბესაძემ გადალახა პირველი საფეხური.

ასეთია ქვეყნის მოფარიკავეთა ჩემპიონატში საქართველოს სპორტსმენთა გამოსვლის სურათი. იგი, როგორც ხედავთ, საკმაოდ ულიმღამოა. და, ცხადია, მომავალი ტურნირებისთვის მზადებისას მუშაობის გაათკეცება თუ არა, მკვეთრად გაძლიერება მაინც არის საჭირო.

# SOS

## არა, მარტო სახელი არ კმარა!

### სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რეგბისტთა სტადიონზე კვლავ ირღვევა წესრიგი

**რეგბისტთა** საკავშირო ჩემპიონატის პირველ ლიგაში მოასპარეზე თბილისის „შევარდენმა“ XV ტურში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონზე უმასპინძლა მოსკოვის „სპარტაკს“ და დამარცხდა — 10:12 (6:9). თბილისელთაგან ლელო გაიტანეს კალანდაძემ და გარუჩავამ, კურატიშვილმა კი ერთი რეალიზაცია შეაგდო.

ამ რიგითი მატჩის შესახებ თხრობა შეგვეძლო ამით დაგვემთავრებინა, თამაშის შემდეგ ამტყდარი შეხლა-შემოხლა რომ არა. თბილისელებმა მხოლოდ ზოგიერთ ეპიზოდში გამოიჩინეს თავი, აშკარად წააგეს ტაქტიკური ორთაბრძოლა, ვერ გამოიყენეს ხელსაყრელ პოზიციაში დანიშნული სამი საჯარიმო და მხოლოდ მეორე ტაიმის ბოლო 15 წუთში გადაალწიეს მეტოქის ნახევარზე. მიუხედავად ამისა, მათ მარცხი მაინც ალმაათელ მსაჯს სტანისლავ კნორს დააბრალეს. გაისმა თუ არა საფინალო სასტვენი, „შევარდენის“ რამდენიმე მოთამაშე ჯიქურ მიეჭრა არბიტრს და იმ საბაბით, თითქოს მან 5 წუთით ადრე დაამთავრა შეხვედრა, წამზომის ჩვენება მოსთხოვა. კნორმა, ცხადია, რეგბისტების მოთხოვნას ყური არ ათხოვა და მშვიდად გაეშურა ცენტრისკენ. თბილისელებმა მსაჯი უხეშად შეაჩერეს, რკალში მოიმწყვდიეს. კნორს უმალ სპარტაკელები გამოესარჩლნენ და ატყდა გაწევ-გამოწევა. მოედანზე გაცვივნულ ორივე გუნდის სათადარიგო მოთამაშეებს ოციოდე თავშეუკავებელი მაყურებელიც მიჰყვა და გაიმართა მუშტი-კრივი. ბოლოს, დაახლოებით 15-წამიანი შეტაკების შემდეგ, ორივე გუნდის მწვრთნელებისა და ვეტერანი რეგბისტების ჩარევის შედეგად, მოჩხუბრები დაშოშმინდნენ. ამის შემდეგ კიდევ 5 წუთს გაგრძელდა აყალმაყალი: მოედნის კიდესთან მდგარი „შევარდენის“ ქომაგები თავიანთ პრეტენზიებს უხსნიდნენ არბიტრს. ბოლოს აცრემლებული და გაბრუებული მსაჯი (ეტყობა, მუშტი-კრივის დროს, მოთამაშეთა შორის ჩამდგარს, ერთი-ორი მახაც მოხვდა) თბილისის რეგბის ფედერაციის თავმჯდომარემ ე. კანდელაკმა და „შევარდენის“ მთავარმა მწვრთნელმა რ. ხანებლიძემ გასახდელამდე მიაცილეს.

როგორ შეიძლება შევაფასოთ მსაჯობა? კნორი ახალბედა, გამოუცდელი არბიტრია. თუმცა დახვეწილი ჟესტიკულაცია აქვს, მისი გადაწყვეტილებანი მაინც საგონებელში აგდებდა თბილისელ მაყურებელს და მოასპარეზე გუნდების მოთამაშეებსაც. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს კნორი მის მიერვე გამოგონილი წესებით მსაჯობდა. ამან კი მეტისმეტად გააღიზიანა მოთამაშეები და მატჩის დასკვნითი მონაკვეთიც ერთობ ქაოსურად ჩატარდა. რაც შეეხება თბილისელთა პრეტენზიას, თითქოს კნორმა ადრე დაამთავრა თამაში, იგი უსაფუძვლოა. მეორე ტაიმი 41 წუთს გაგრძელდა და კნორმაც უკანასკნელად მაშინ დაუსტვინა, როცა „შევარდენს“ 22-მეტრიანი დარტყმა უნდა შეესრულებინა. ამჯერად მსაჯმა ზუსტად დაიცვა საყოველთაოდ მიღებული რეგბის წესები.

ასეა თუ ისე, კნორის დაბალი კვალიფიკაცია ცხადზე უცხადესია. მით უფრო საკვირველია ის, რომ საკავშირო ჩემპიონატის ორგანიზატორები ალმაათელ არბიტრს უკვე მერამდენედ აკისრებენ ყველაზე უფრო პრინციპული მატჩების ჩატარებას.

ცხადია, უვარგისი (თუმცაღა მიუკერძოებელი) მსაჯობა არც „შევარდენისა“ და არც „სპარტაკის“ მოთამაშეებს არ ამართლებს. სამწუხაროდ, ამჯერად „შევარდენის“ მოთამაშეები საჩხუბრად უკიდურესად ტენდენციურად განწყობილმა მაყურებელმა შეაგულიანა. არადა, გუნდი წინათაც არაერთხელ დასჯილა ქომაგთა ულირსი საქციელისთვის. გავიხსენოთ 1980, 1981, 1986, 1987 წლები, როცა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონზე მომხდარი ინციდენტების გამო „შევარდენის“ ყოფნა-არყოფნის საკითხი დამდგარა. „შევარდენს“ კეთილმოწყობილი სტადიონი აქვს, რომელსაც პატრონის გარდა უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდებიც შეჰკედლებიან. მაგრამ მარტო გუნდი და კარგი სპორტული ბაზა არაა საკმარისი, „შევარდენი“ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდია. ფიქრობენ კი ამ უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელები გუნდში აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებაზე? მარტო სახელი არ კმარა!



სსრ კავშირის
ჩემპიონატი რეგბიში

**სამკვირიანი** შესვენების შემდეგ განახლდა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატი რეგბიში. თბილისელი რკინიგზელები, რომელთაც აკლიათ ჯარში გაწვეული ხუთი წამყვანი მოთამაშე — ძაგანელი, ლეჟავა, ჩიქვინიძე, ნარიმანიძე და ღუდუშაური ლენინგრადში ჩემპიონატის აუტსაიდერს, ადგილობრივ „ელექტრონმაშს" ეთამაშნენ. მართალია, ანგარიში სტუმრებმა გახსნეს (სამედიცინო ინსტიტუტის გუნდიდან „ელმავალში" მოწვეულმა დათო ჩავლეიშვილმა საჯარიმო შეაგდო), მაგრამ მალე მასპინძლებმა ისარგებლეს მეტოქეთა შეცდომით და ლელო გაიტანეს — 6:3. მერე თამაში თბილისელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა: ჯერ მექვაბიშვილმა გია გიუნაშვილის გადაცემის შედეგად გაიტანა ლელო, მერე თავად გიუნაშვილმა ისახელა თავი, ჩავლეიშვილმა კი ორივეჯერ ზუსტად დაარტყა რეალიზაცია. რკინიგზელებმა გაიმარჯვეს — 15:6.

„ელმავალმა" ასეთი შემადგენლობით იასპარეზა: ჰეიშვილი; ხვედელიძე, მანთიძე, თავაძე, გეგუჩაძე; ჩავლეიშვილი, გაბრიჩიძე; შუბითიძე, კაკაბაძე, ბაკურაძე, გიორგაძე, მექვაბიშვილი, ჯაფარიშვილი (ბასილაშვილი), გ. გიუნაშვილი, მონიავა.

საბჭოთა კავშირის ნაკრები ჯერ არ დაბრუნებულა არგენტინიდან. ამიტომ წამყვან კლუბებს ულიდერებოდ მოუწიათ თამაშმა. ქუთაისის „მშენებელმა", რომელსაც აკლდა ძაგნიძე, ლოსაბერიძე და ლილუაშვილი, კრასნოიარსკში წააგო ეტს-თან — 3:10.

სხვა მატჩები: „ზვეზდა" — სსა 6:9 (XV ტურის შეხვედრა), „ლოკომოტივი" — ასკ 9:15, „ფილი" — „ზვეზდა" 21:10, „სლავა" — ტირასპოლი" 35:0. სსა — „ავიატორის" შეხვედრა არ გამართულა.

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 12 ივლისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მშენებელი" | 16 | 13 | 1 | 2 | 43 | (— 5) |
| სსა (მონინო) | 15 | 12 | 0 | 3 | 39 | (— 6) |
| „სლავა" (მ.) | 16 | 11 | 0 | 5 | 38 | (—10) |
| „ლოკომ." (მ.) | 16 | 10 | 2 | 4 | 38 | (—10) |
| ეტს (კრასნ.) | 16 | 9 | 2 | 5 | 36 | (—12) |
| „ავიატ." (კ.) | 15 | 10 | 0 | 5 | 35 | (—10) |
| ასკ (ა.-ა.) | 16 | 7 | 4 | 5 | 34 | (—14) |
| რრკ „ელმავ." | 16 | 7 | 1 | 8 | 31 | (—17) |
| „ელ." (ტირ.) | 16 | 2 | 3 | 11 | 23 | (—25) |
| „ფილი" (მ.) | 15 | 2 | 1 | 12 | 20 | (—25) |
| „ზვ." (ტაშკ.) | 16 | 2 | 0 | 14 | 20 | (—28) |
| „ელ." (ლენ.) | 15 | 1 | 2 | 12 | 19 | (—26) |

მორიგ, XVII ტურში საქართველოს გუნდები კვლავ სტუმრად იასპარეზებენ. „მშენებელი" 14 ივლისს შეხვდება ტაშკენტის „ზვეზდას", „ელმავალი" კი 17 ივლისს ალმა-ათის ასკ-ს ეთამაშება.

# სასიკეთო ძვრების პირველი შედეგები

**ავტოსპორტის** მოყვარულებმა კარგად იციან და „ლელოც" არაერთხელ წერდა იმ არასახარბიელო მდგომარეობის შესახებ, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკის ავტომრბოლთა ნაკრები გუნდი იმყოფებოდა ბოლო წლების განმავლობაში (მხედველობაში გვაქვს წრიული რბოლა). ამ წარუმატებლობათა მიზეზებისა და მათი დაძლევის გზების ძიების აუცილებლობის თაობაზე ბევრჯერ გვქონდა საუბარი და ძალზე სასიხარულოა, რომ საქართველოს წარმომადგენელთა გამოსვლებმა წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში მომავალი წარმატებების გარკვეული იმედი ჩაგვისახა. რა თქმა უნდა, ჯერ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ საქართველოს ნაკრებმა უკვე დაიბრუნა ის დიდება და პრესტიჟი, რომელიც ადრე მისი განუყოფელი თანამგზავრი იყო, მაგრამ, როგორც ეტყობა, ავტოსპორტის ხელმძღვანელებს „გული მოუბრუნდათ", წრიულ ავტორბოლას მეტი ყურადღება დაუთმეს და შედეგმაც არ დააყოვნა.

თუ საქართველოს დოსააფის რესპუბლიკური სპორტულ-ტექნიკური კლუბის ტრასაზე საკავშირო ჩემპიონატის პირველ ეტაპზე მოპოვებული გუნდური მეხუთე ადგილი ერთგვარად იღბალსა და „საკუთარი კედლების" ფაქტორს უფრო მივაწერეთ, კიევსა და რიგაში მოწყობილ მეორე და მესამე ეტაპებზე საქართველოს მრბოლების სტაბილურმა გამოსვლამ ის პირველი გრძნობა გაგვიქარწყლა და საქმის გამოკეთების მიზნით გადადგმულ პირველ ნაბიჯებში დაგვარწმუნა.



მაშ ასე, კიევსა და რიგაშიც ჩვენმა გუნდმა (მწვრთნელი ალექსანდრე გევორქიანი; მრბოლები: დ. რამიშვილი, ა. მირიანაშვილი, ნ. წამალაშვილი, ა. წერეთელი) მეხუთე გუნდური ადგილი დაიკავა. ურიგოდ არც პირად პირველობაში მონაწილე მრბოლები (ი. და მ. ლოგინოვები, მ. ჯავახიშვილი) გამოსულან.

ერთი სიტყვით, სასიკეთო ძვრებმა პირველი შედეგები გამოიღო, მაგრამ ეს არამც და არამც არ იძლევა თვითდამშვიდებისა და მიღწეულით დაკმაყოფილების საბაბს. წინ საკავშირო ჩემპიონატის მეოთხე, დასკვნითი ეტაპია, შემდეგ კი... მომავალი ჩემპიონატები, რომლებზეც საქართველოს ავტომრბოლებმა, მათმა მწვრთნელებმა და სპორტის ამ სახეობის თავკაცებმა საქმით უნდა დაამტკიცონ, რომ მათი ადგილი მხოლოდ უძლიერესთა შორისაა.

**გიორგი ქორქია.**

# კრივი და შიშნეულობა

**მოკრივეთა** უმეტესობას რინგზე გამოსვლის წინ შიშის გრძნობა იპყრობს. მათ ზაფრავთ მოსალოდნელ ფიზიკურ თუ სულიერ ტრავმასა, სხეულებრივ ტკივილზიანსა, თუ წაგებაზე ფიქრი. ამიტომაც ისინი ხშირად ბრძოლას უშუალოდ სპორტულ სარბიელზე კი არ აგებენ, არამედ საკუთარ სახლში, საწვრთნელ ბანაკში, გასახდელში და, ასე განსაჯეთ, რინგზე ეროვნული ჰიმნის მოსმენის დროსაც კი. ეს გრძნობა იმდენად დამთრგუნველია, რომ ამ მიზეზით არცთუ იშვიათად მეტოქეზე ძლიერი მოკრივე რინგს დამარცხებული ტოვებს.

ამის კლასიკურ მაგალითად მოჰყავთ ხოლმე რინგის ცნობილი ოსტატის, ბადი ბარის შეხვედრა ბერნარ ბერლუნდთან. ბადი ბარი დამაჯერებლად იგებდა მატჩს ქულებით, მაგრამ მის სხეულში ჩაბუდებულმა შიშმა თავისი გაიტანა და მიუხედავად საკუთარი უპირატესობისა, მან მეშვიდე რაუნდში უარი თქვა ბრძოლის გაგრძელებაზე.

ასეთია შიშის ძალა.

ამიტომაც ნაცადი მწვრთნელები დიდ დროს უთმობენ მოკრივეებში ამ ზაფრისა და ელდის განელებას. ისინი ყურადღებას ამახვილებენ მათი დაცვის ტექნიკის დახვეწაზე. მატჩის წინ თავიანთ მოწაფეებს ახვედრებენ მათზე ნაკლებ მომზადებულ მეტოქეებს, რათა მათ გაულვივონ და განუმტკიცონ თვითრწმენა. რაღა თქმა უნდა, ყოველი მოკრივე ამ მხრივ საჭიროებს განსაკუთრებულ მიდგომას, ზოგჯერ სილბოს, ზოგჯერ სიმკაცრეს.

მოკრივისადმი მწვრთნელის რბილი მიდგომის მაგალითად გამოდგება შემდეგი შემთხვევა. ეზარდ ჩარლზს შიშის ძრწოლა აუტყდა მძლეთამძლე ჯო ლუისთან შეხვედრის წინ. რაკი მწვრთნელმა შეგონებით ვერაფერი გააწყო, რაკი ვერ გაულვივა ამ შესანიშნავ, მაგრამ პანიკით მოცულ რინგის ოსტატს საკუთარი ძალმოსილების შეგრძნება, ასე უთხრა: რა გაეწყობა, გადავდოთ შეხვედრაო. იგი ვარაუდობდა, რომ ორ-სამ დღეში ეზარდ ჩარლზს დაძაბულობა მოეხსნებოდა, ნებსით თუ უნებლიეთ წარმოისახავდა მომავალ მატჩს და



არცთუ გაუსაძლისად მოეჩვენებოდა იგი. ეს ასეც მოხდა: და როცა ჩარლზს დაეუფლა სიმშვიდე და თვითრწმენა, მწვრთნელმა მხოლოდ მაშინღა განუცხადა, მატჩი უნდა შედგესო. ჩარლზმა ქულებით მოიგო ეს ბრძოლა.

მოკრივისადმი მწვრთნელის მკაცრი მიდგომის მაგალითად კი გამოდგება ასეთი შემთხვევა. რეი არსელის მიერ აღზრდილი ერთი მოკრივე მატჩის დროს დაჟინებით სთხოვდა მას, პირსახოცი გადმოეგდო რინგზე, მწვრთნელი, ვინც კარგად უწყოდა ამ მოკრივის ფიზიკური შესაძლებლობები, დაჟინებით ითხოვდა ბრძოლის გაგრძელებას. საბოლოოდ შეხვედრა ქულებით მოიგო არსელის მიერ აღზრდილმა სპორტსმენმა.

რეი არსელი, თავის ნაცად კოლეგებთან, ჯო ბლეკბერნსა და დოკ რობთან ერთად მუდამ ამ თვალსაზრისზე იდგა: „შესაძლოა გაიკეროს გახეთქილი წარბი, მოშუშდეს დალილავებული თვალი, ჩავარდეს ბუდეში ამოვარდნილი მხარი, შეხორცდეს გაბზარული ნეკნი და გასწორდეს გატეხილი ცხვირი, მაგრამ შეუძლებელია გამრთელება იმ ბზარისა, რომელიც ჩნდება მოკრივის არსებაში შიშნეულობის გამო".

დიახ, შიში მართლაც დამღუპველია რინგზე.

მეორე მხრივ, ეს გრძნობა გარკვეულწილად და ერთგვარად აუცილებელიც არის ტყავის ხელთათმანის ყოველი ოსტატისთვის, რამეთუ სტიქიური სიმამაცე ასევე დიდად საზიანოა მოკრივისთვის. სწორედაც რინგზე მებრძოლთა ჯიშსა და მოდგმაზე ვრცელდება ძველ ბერძენთა მოსაზრება იმის შესახებ, მამაცია თუ არა ლომი. ისინი ასე ბჭობდნენ: „სიმამაცე არის შიშის გადალახვა, ლომს არა აქვს შიშის გრძნობა; ამიტომაც ლომს არ ეთქმის მამაცი". როგორც ვხედავთ, ძველნი ელინნი უგუნურ გამბედაობას არა და არ თვლიდნენ სიმამაცედ. მოკრივეების მწვრთნელთა ელიტა ერთხმად მიიჩნევს, რომ მოკრივე რინგზე გონივრულად უნდა მოძრაობდეს, ხედავდეს სიფრთხილის, ამ ბუნებითი მაკონტროლებელი მექანიზმის მიერ მინიშნებულ საფრთხეს.

ამიტომაც დიდი სიმართლეა დატეული ამ ყაიდის რინგის ოსტატის, მსუბუქ წონაში მსოფლიო ჩემპიონის, ბენი ლეონარდის გამონათქვამში: „მე როდი ვუფრთხი იმ მეტოქეს, ვისაც ჩემი რიდი არა აქვს და ჯიქურ მიტევს, იგი არ არის ჩემთვის გამოცანა. მე ვუფრთხი ისეთ მოკრივეს, ვინც საზრიანად და ფრთხილად ირჯება რინგზე, და მაგონებს გამოუცნობ სფინქსს".

**ედიშერ გიორგაძე.**

## ინფორმაცია

**დარმშტადტი** (გფრ). მოცურავეთა საერთაშორისო ტურნირის პირველ დღეს საბჭოთა სპორტსმენებმა ხუთი პირველი ადგილი დაიკავეს: 50 მ თავისუფალი სტილით. გენადი პრიგოდა — 23,58; 100 მ. ბატერფლაით. კონსტანტინე პეტროვი — 55,04; 200 მ. ბატერფლაით. სვეტლანა კოპჩიკოვა — — 2.18,74; 200 მ. გულაღმა. იგორ პოლიანსკი — 2.01,82 და ვაჟთა ესტაფეტა 4X100 მ — 3.59,88.

**მოსკოვი.** ცხენოსნურმა ოლიმპიურმა კომპლექსმა „ბიტცამ" საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების მონაწილეებს უმასპინძლა. დაბრკოლებების გადალახვაში ორმა მხედარმა ერთნაირი შედეგი აჩვენა — იბრაჰიმ ვაკოვმა (ბელორუსია) და ალექსანდრე ლესნიკოვმა (რსფსრ).

**ტიბა** (იაპონია). სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ადგილობრივ სპორტსმენებთან ექვსივე შეხვედრა მოიგო. ბოლო მატჩში სტუმრებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.

# ფედერაცია თმობს

**ჩოგბურთის** საერთაშორისო ფედერაცია ერთ-ერთი ყველაზე კონსერვატული სპორტული ორგანიზაციაა, რომელიც თავის ასწლოვან წესებს იშვიათად ღალატობს. მაგრამ ახლა მასაც მოუხდა დროის მოთხოვნათა შესაბამისად დათმობაზე წასვლა.

როგორც ცნობილია, ტაი-ბრეიკი (13 გეიმამდე შემოკლებული სეტი) პირველად აშშ-ში გამოიყენეს ამ ოციოდე წლის წინათ. მერე იგი სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა. ახლა ტაი-ბრეიკს იყენებენ ფაქტობრივად ყველგან, თვით უიმბლდონის ტურნირშიც, მაგრამ გარკვეულ მომენტამდე. ამ შეჯიბრების ფინალში ეს შეზღუდვა არ ვრცელდება.

შეზღუდვა არ ვრცელდებოდა დევისის თასის გათამაშებაშიც, რაც ზოგჯერ ზომაზე მეტად აჭიანურებდა ტურნირს. აი, ამის ერთი მაგალითი. დევისის თასის შარშანდელი ორთაბრძოლა ბორის ბეკერსა (გფრ) და ჯონ მაკინროუს შორის ექვს საათზე მეტ ხანს გაგრძელდა.

ახლა ტაი-ბრეიკის წესი 1989 წლიდან დევისის თასის გათამაშებაზეც გავრცელდება, რაც შეჯიბრებას უფრო კომპაქტურს გახდის.

არის კიდევ ერთი სიახლე, რომელიც თასის გათამაშების მაღალი და დაბალი ჯგუფების ფორმირებას ეხება. წინათ თექვსმეტ გუნდში მოხვედრა, სადაც უშუალოდ ჯილდოსთვის იბრძოდნენ, შეეძლოთ მხოლოდ ზონალურ ტურნირში გამარჯვებულებს, ახლა მასში გამოვლენ ზონალური შეჯიბრების ფინალისტებიც.

## „სპორტპროგნოზი"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" თამაშებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 255.621 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (1) მოგებამ შეადგინა 3.834 მანეთი, 12 შედეგის გამოცნობისთვის (5) — 21.533 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (72) — 372 მანეთი.

დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" თამაშებზე შედგენილი სპეცტირაჟის მოგებები გაიცემა 1988 წლის 25 ივლისიდან 25 აგვისტოს ჩათვლით.

• • •

**27-ე ტირაჟის შედეგები**
**(4 ივლისი)**

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის" 27-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1988 წლის 4 ივლისს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 3.519.246 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (92) მოგებამ შეადგინა 573 მანეთი, 12 შედეგის გამოცნობისთვის (1.552) — 68 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (14.473)— 25 მანეთი.

27-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1988 წლის 25 ივლისიდან 25 აგვისტოს ჩათვლით.

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 12 ივლისი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (კიევი). მეორე ტაიმის ტელერეპორტაჟი „დინამოს" ცენტრალური სტადიონიდან — **20.30 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **21.30 (2)**.

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 14 ივლისს.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

## „სპორტლოტო"

**გუშინწინ** მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს" მორიგი, 28-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** 4 (კრივი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 28 (ტყვიის სროლა), 30 (ძალოსნობა), 35 (შაიბიანი ჰოკეი), 43 (ტურიზმი).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 3 (ბობსლეი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 12 (ტანვარჯიში), 16 (საცხენოსნო სპორტი), 30 (ძალოსნობა).

18-22 ივლისს თბილისის „ბურევესტნიკის" სპორტულ კომპლექსში (უნივერსიტეტის ქ. № 4) გაიმართება საკავშირო უნივერსიადის („უნივერსიადა-88") პროგრამით გათვალისწინებული მოფარიკავეთა ფინალური შეჯიბრება.

დასაწყისი 10 საათზე.

**საქართველოს პროფკავშირთა ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების სპორტკლუბი.**

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096**
**თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,**
**„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 XII უე 10806